27 სექტემბერს მოწვეულია
საქართველოს კპ XXI ყრილობა

ღირსეული შეხვედრა ყრილობას!

ლაპარაკობენ ყრილობის დელეგატები



ასე ვშრომობთ, ასე ვიმარჯვებთ

ემზადებოდით, სიხარულით მოველოდით და უკვე დგება სანატრელი დღეც — საქართველოს კომუნისტები შეიკრიბებიან თავიანთ XXI ყრილობაზე, რომ შეაჯამონ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა, ის დიდი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ მშობლიური პარტიის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის. აი ამ დღეს — ყრილობის გახსნის დღეს ჩვენი რესპუბლიკის თვითეული საწარმოს, კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ხვდება თავისი შრომითი საჩუქრით, იმით, რაც მან შექმნა საბჭოთა ადამიანისათვის. მისი კეთილდღეობისათვის. თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივიც ასეთი კარგი შრომითი საჩუქრით ხვდება საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობას. დეპოს კოლექტივმა მარტო მძიმე წონის მატარებლებით მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით 2.400 ათას ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთები გადაიტანა. საგულისხმოა ის, რომ ეს მნიშვნელოვნად აღემატება შარშანდელ მაჩვენებლებს.

ამასთან ერთად ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუპატაკოთ ყრილობას, რომ წელს გადაყვანილია 6 ათასზე მეტი მძიმე წონის მატარებელი.

ახლა მეელმავლეთა ჩემი გუნდი, რომელიც წარმატებით ატარებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის სახელს, დეპოს მთელ კოლექტივთან ერთად ენერგიულად იბრძვის ზეგეგმითი ტვირთების გადატანისათვის, ელექტროენერგიისა და სხვა მასალების ეკონომიისათვის.

და მეც ჩემი კოლექტივის, ლენინის სახელობის რაიონის პარტიული ორგანიზაციების წარგზავნილი, ამაყად შევხვდები საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატებს და თამამად წარვუდგენ მათ ჩვენს შრომითს საყრილობო საჩუქარს.

გრიგოლ ბოგვერაძე,
თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

სამშობლოს სადიდებლად, ხალხის საკეთილდღეოდ

ჯერ კიდევ შარშან დიდი სიხარული განვიცადე: მშობლიურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩემს შრომას — მომანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მას შემდეგ უფრო გავაძლიერე მუშაობა. წელს ვალდებულება ვიკისრე 0,7 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან გეგმით გათვალისწინებული 3.800 კილოგრამის ნაცვლად მომეკრიფა 17.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამასთან ერთად პირობა მივეცი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ამ ვალდებულებას საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის გახსნის დღისათვის შევასრულებდი.

როცა რაიონული პარტიული კონფერენცია გაიხსნა, მე მოკრეფილი მქონდა 17.000 კილოგრამზე მეტი. ამ კონფერენციაზე დიდი ნდობა გამომიცხადეს და ამირჩიეს საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატად. ამან უფრო შემმატა ძალა. ყრილობის გახსნამდე ხუთი დღით ადრე მოვკრიფე 17.800 კილოგრამი. იმედი მაქვს ყრილობის გახსნის დღისათვის მოვკრიფო 18.000 კილოგრამი „მწყანე ოქრო“.

კვლავაც სასახელოდ ვიშრომებ ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მის სადიდებლად და ჩემს წვლილს შევიტან კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ტატიანა ტყეებუჩავა,
ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ულანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ვამრავლებთ დოვლათს

რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საქართველოს კპ XXI ყრილობის დელეგატად ამირჩიეს. კონფერენციიდან რომ სახლში დავბრუნდი, დიდხანს ვფიქრობდი იმაზე, თუ რამდენი დღე, რამდენი ღამე გამიტარებია ამხანაგებთან ერთად ღია ცის ქვეშ, დარსა და ავდარში, რამდენი კილომეტრი გაგვიგლია ფეხით შორეულ ნოლაეთსა და მშობლიურ მიეებს შორის და საერთო საქმისათვის არასოდეს არ გვიღალატია.

ჩვენ მზად ვართ კვლავაც ვაუკაცურად ავიტანოთ მწყემსური ცხოვრების მკაცრი პირობები, თოვლი და წვიმა, მცხუნვარე მზის თაკარა და გაუთავებელი გზები. სხვანაირად არც შეიძლება, ჩვენ ხომ ხალხს დოვლათი გვაბარია და რაღა ვაუკაცობაა, თუ ხალხს ნდობას არ გავამართლებთ და საქვეყნოდ ნათქვამ სიტყვას ვუღალატებთ.

თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და მეც მიმიძღვის პატარა ღვაწლი საზოგადოებრივი ცხვრის მომრავლებაში. 1959 წელს ყოველ 100 ნერბზე გავზარდე 94 ბატკანი, ყოველ მოზრდილ ცხვარზე მივიღე 3,7 კილოგრამი მატყლი, ნაცვლად 2,5 კილოგრამისა. შარშან ცხრაას სულ ცხვარს ვუვლიდი და მარტო გაზაფხულის პარსვისას თვითეული ცხვრის ნაპარსმა 3,4 კილოგრამი შეადგინა.

არც წლევანდელი მაჩვენებლებით ვარ გულნაკლული. ნამატიც საკმარისი შევინარჩუნე და მატყლის გამოსავალიც გავზარდე—მარტო გაზაფხულზე თვითეულ ცხვარს 3,55 კილოგრამი მატყლი გავპარსეთ.

კომუნისტები მხოლოდ საკუთარი წარმატებისათვის როდი იბრძვიან. მრავალი წლის მანძილზე მწყემსობაში ცოტა გამოცდილება როდი შეეძინე, რასაც ხალისით ვუზიარებ ახალგაზრდებს. ბევრი მწყემსი გაიზარდა ჩემი დახმარებით ჩვენს კოლმეურნეობაში. უწვრთნელაშო ჯობუკი იყო ნიკო ბუთხუზი, როცა ჩემს ბრიგადაში მოვიდა. მას შემდეგ ოცდაერთი წელიწადი გავიდა. ახლა იგი თვითონ ხელმძღვანელობს მეცხვარეთა ბრიგადას და თავისი მაჩვენებლებით ჩვენ არ ჩამოგვრჩება. შარშან ნიკომ ყოველ ას ნერბზე 95 ბატკანი შეინარჩუნა, ხოლო თვითეულ მოზრდილ ცხვარზე 5,1 კილოგრამი მატყლი მიიღო.

ჩემი და ამხანაგების სახელით პირობას ვიძლევი მომავალშიც ვამრავლოთ საკოლმეურნეო ცხვრის ფარები, ავამაღლოთ პირუტყვის პროდუქტიულობა, სახელოვანი საქმეებით გავამართლო კომუნისტის მაღალი წოდება.

ზიო ნაზღალიძე,
დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მწყემსი.

ლენინური ეტაპი

კომუნისტური შრომის მაღაროს

ჭიათურა. (საკ. კორ.). ერთი წელია კომუნისტური შრომის სახელწოდებისათვის იბრძვის ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. განსაკუთრებული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა პარტიის ყრილობებისათვის მზადების დღეებში. აქ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით გამოირჩევა ის კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი ინჟინერი გ. მირტაძე უძღვება. ამ დღეებში აქ შეაჯამეს მიმდინარე სამეურნეო წლის რვა თვის მუშაობის შედეგები. მაღაროს კოლექტივმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება 117 პროცენტით შეასრულა, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა მარგანეცის თვითღირებულება. ამიტომ ამ მაღაროს კოლექტივს გადაეცა მაღაროს დირექციისა და პროფკავშირის კომიტეტის გარდამავალი წითელი დრომა, მიეკუთვნა კომუნისტური შრომის მაღაროს ხაპატიო სახელწოდება.

ეს წარმატება მოპოვებულია იმ უბნებისა და ცვლების შეუპოვარი შრომით, რომლებსაც ი. ჩაჩანიძე, ლ. აბაშიძე, გ. ქამუშაძე, ლ. ბარათაშვილი, ვ. სამხარაძე და დ. ტაბატაძე ხელმძღვანელობენ.

ეს პირველი კომუნისტური შრომის მაღაროს კოლექტივია ჭიათურაში.

კომუნისტური შრომის სახელწოდება მიეკუთვნა აგრეთვე სტალინის სახელობის მაღაროს მეოთხე უბნის კოლექტივს, რომელსაც ინჟინერი გრ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 219 (12133)
კვირა,
24
სექტემბერი,
1961 წ.

ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

გლოკეგსმიუმხროგელი ქვეყნების კონფერენციის დელეგაციათა მეთაურეგის წერილზე

სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა, რომლებიც ესწრებოდნენ ბლოკებსმიუმხრობელი ქვეყნების ბელგრადის კონფერენციას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართეს წერილით. წერილში გამოთქვამენ დიდ შეშფოთებას საერთაშორისო ვითარების გაუარესებისა და ომის შესაძლებლობის გამო, რომელიც ამჟამად ემუქრება კაცობრიობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ნათქვამია წერილში, რომ თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ყოველ ღონეს იხმართ, რომ თავიდან აცილებულ იქნეს ასეთი უბედურება.

წერილის ავტორები სთხოვენ დაინტერესებულ დიდ სახელმწიფოებს განაახლონ და მოაწყონ მოლაპარაკება, რათა მსოფლიოში აღიკვეთოს ომის საფრთხე და კაცობრიობა დაადგეს მშვიდობიანი ცხოვრების გზას. კერძოდ, წამოყენებულია თხოვნა, რომ დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკება ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი თავის პასუხში ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუსადმი წერს, რომ დიდი უურადღებითა და ინტერესით გაეცნო ბლოკებსმიუმხრობელი 25 ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციის წერილს. იგი კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ საბჭოთა მთავრობის შეხედულებანი მსოფლიოს ახლანდელი მდგომარეობის შესახებ ბევრ რამეში ემთხვევა კონფერენციის მონაწილეთა წერილში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს. როგორ შეიძლება არ გვახარებდეს ის, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ ნეიტრალიტურ სახელმწიფოთა მთავრობებმა, რომელთა მოსახლეობა კაცობრიობის ერთ მესამედს შეადგენს, აღიმაღლეს ხმა მშვიდობის დასაცავად, გადაჭრით დაგმეს ომის მომზადების პოლიტიკა. ამას მით უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება მსოფლიო მოვლენების განვითარებისათვის, რომ ბრძოლა ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის შეადგენდა და შეადგენს სოციალისტურ სახელმწიფოთა მთელი საგარეო პოლიტიკური საქმიანობის მთავარ შინაარსს, რომლებიც კაცობრიობის მეორე მესამედს წარმოადგენენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა სავსებით იზიარებს შეშფოთებას საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესებისა და ომის საფრთხის გამო. იგი აცხადებს, რომ ასეთი მდგომარეობა თავისთავად როდი შეიქმნა; ეს იმ გარკვეული ძალების საქმიანობის შედეგია, რომლებიც დაინტერესებული არიან რითაც გინდათ, მხოლოდ არა მტკიცე მშვიდობით. ვერ მოგვიშორებია ის აზრი, რომ ნატოს სახელმწიფოთა პოლიტიკას სულ უფრო ემჩნევა იმ წრეების გავლენა, რომლებიც მხოლოდ ომს ეძებენ, ომისაკენ მიილტვიან. ნატოს მონაწილე ზოგიერთი ქვეყანა წინააღმდეგი არ არის ძალების გენერალური მოსინჯვისათვის გამოიყენოს ცენტრალური და გადაუდებელი საკითხი — გერმანიის საზავო ხელშეკრულება.

ჩვენი უველაზე დიდი და წმიდა სურვილია, განაგრძობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — ვიცხოვროთ მეგობრობით ყველა სახელმწიფოსთან, ვიცხოვროთ მსოფლიოში, რომელშიც არ იქნება იარაღი, მსოფლიოში, რომელშიც არ იქნება ომი. ამიტომაც ჩვენ ასე მტკიცედ მოვითხოვთ, რომ სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშვიდობის ბედისათვის, მიიღონ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — ბოლო მოუღონ მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს, მთლიანად დაამხსნეროონ სახელმწიფოთა სამხედრო მანქანა, მოსპონ მთელი იარაღი, მათ შორის ატომური იარაღი, რაც საბოლოოდ მოხსნიდა ატომური იარაღის გამოცდის საკითხსაც.

ეხება რა წინადადებას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან პირდაპირი მოლაპარაკების შესახებ, ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის იყო მომხრე, რომ მოლაპარაკების გზით გადაიჭრას სადავო საკითხები. მოლაპარაკებამ სახელმწიფოთა შორის, და მით უმეტეს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ყველაზე მძლავრ და გავლენიან სახელმწიფოებს შორის, შეიძლება შეასრულოს და კიდევაც უნდა შეასრულოს დიდმნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების საქმეში. ჩვენ მზად ვართ მშვიდობის უზრუნველყოფისათვის დავიწყოთ მოლაპარაკება ყოველ დროს, ყოველ ადგილას და ყოველ დონეზე.

დიდიხანია მომწიფდა იმის საჭიროება, ნათქვამია შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში, რომ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეები მიუსხდნენ საზავო კონფერენციის მაგიდას და ორივე გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთად, მშვიდ ვითარებაში, ისე, რომ არ გამოიწვიონ ვნებათა ღელვა, შეიმუშაონ საზავო ხელშეკრულება, რათა ჩაეკრონ თხუთმეტი წლის წინათ მძვინვარე მსოფლიო ხანძრის შემდეგ დარჩენილი ნაკვერჩხლები.

ნ. ს. ხრუშჩოვი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ მოლაპარაკება მომწიფებულ საერთაშორისო საკითხებზე სარგებლობას მოიტანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მოღვაწეები მოლაპარაკებას დაიწყებენ სერიოზულად სურვილით და მზად იქნებიან მიაღწიონ შეთანხმებებს, რომლებიც გახდება მშვიდობის განმტკიცების საფუძველი.

საბჭოთა მთავრობა მზად არის მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებაში, რომელიც ნამდვილად დაისახავს მიზნად რაც შეიძლება მალე გადაიჭრას გადაუდებელი საერთაშორისო საკითხები, და უწინარეს ყოვლისა მონაწილეობა მიიღოს საზავო კონფერენციაში **გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის** საკითხზე. მშვიდობის განმტკიცების და ევროპისა და მთელი მსოფლიოს მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის კარგი იქნება, თუ სხვა ქვეყნები, რომლებმაც ჯერ კიდევ არ ცნეს ორივე გერმანული სახელმწიფო—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, — ცნობენ მათ დეიურე; დაამყარებენ მათთან ურთიერთობას.

დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა კმაყოფილება გამოთქვა იმ ღონისძიებათა გამო, რომლებსაც ინდოეთის პრემიერ-მინისტრი პირადად ახორციელებს ბლოკებსმიუმხრობელი სხვა ქვეყნების ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად საერთაშორისო ვითარების გასაჯანსაღებლად. მინდა დაგარწმუნოთ, ნათქვამია პასუხში, რომ მშვიდობის პოლიტიკის ერთგული საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რომ ხალხებმა მიიღონ შესაძლებლობა იცხოვრონ ისე, რომ არ ეშინოდეთ ომის, იცხოვრონ მშვიდობისა და აყვავების პირობებში.

* * *

ანალოგიური შინაარსის წერილები გაეგზავნათ აგრეთვე ბლოკებსმიუმხრობელი ქვეყნების კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებისა და მთავრობების სხვა მეთაურებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს წერილს ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.

(საკდესი).

ამგვეგი, ფაქტები, ცნობები

საკლესის ცნობა

ამა წლის 21 სექტემბერს საბჭოთა კავშირში წარმატებით მოეწყო მატარებელი რაკეტის მორიგი გაშვება წყნარი ოკეანის ცენტრალური ნაწილის რაიონში.

გაშვების მიზანი იყო შეემოწმებინათ ახალი მატარებელი რაკეტის საიმედოობა და მისი მართვის სისტემის სიზუსტე, აგრეთვე საბოლოოდ დაემუშავებინათ ურთიერთმოქმედება ავტომატიზებული საზომი კომპლექსისა და კავშირის საშუალებისა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდების ორბიტაზე გასაყვანად მომავალში.

რაკეტის უკანასკნელი საფეხურის მაკეტმა, რომელიც მომარჯვებულია ატმოსფეროს მჭიდრო ფენათა გავლისათვის, ოკეანის წყლის ზედაპირს მიაღწია მოხვედრის დიდი სიზუსტით დამიზნების წერტილის მიმართ.

დასახული გეგმის შესაბამისად მატარებელი რაკეტების გაშვება წინათ გამოცხადებულ რაიონში გაგრძელდება.

ინგლისელ ავტომობილმშენებლებთან სტუმრად იმყოფება სტალინის სახელობის ურალის საავტომობილო ქარხნის დელეგაცია,

რომელსაც მოტორების საამქროს მუხლა ლილვების უბნის უფროსი რ. სემიონოვი მეთაურობს. ეს ურალელთა საპასუხო ვიზიტია. ადრე ურალში სტუმრად იყო ჭუთაისელ ავტომშენებელთა დელეგაცია, რომელმაც შეამოწმა ზლიხ პირველი ნახევრის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ურალელები ჭუთაისში ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ გაეცნონ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის მიმდინარეობას ქარხანაში. სტუმრები იყვნენ ყველა საამქროში, ესაუბრნენ მოწინავე წარმოების მუშაკებს, რაციონალიზატორებს. გაეცნენ რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის ი. ხაზარაძისა და მისი ბრიგადის მუშაობას.

სტუმრები ურალიდან

ბ. ვ. ლომონოსოვის დაბადების 250 წლისთავის გამო

მოსკოვი, 22 სექტემბერი. (საკდესი). ბ. ვ. ლომონოსოვის დაბადების 250 წლისთავისათვის ჩვენი ქვეყანა ემზადება როგორც სამამულო მეცნიერებისა და ლიტერატურის დიდი დღესასწაულისათვის. აი რას გვიამბობს იუბილესათვის მზადების შესახებ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ნ. ა. კიგუროვსკი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყველა განყოფილება გამართავს საიუბილეო სესიებს, რომლებზეც გააკეთებენ მოხსენებებს მეცნიერის უმნიშვნელოვანეს ნაშრომთა შესახებ.

ორ ფერად ფილმს გამოუშვებენ ლენინგრადის კინოსტუდიები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია იუბილესათვის სერიით „მეცნიერების კლასიკოსები“ უშვებს ბ. ვ. ლომონოსოვის რჩეულ ნაწარმოებებს ქიმიასა და ფიზიკაში. გამოვა ლომონოსოვის მე-5 საიუბილეო კრებული.

ლომონოსოვის სამშობლოში არხანგელსკის ოლქის სოფელ ხოლმოგორში მიმდინარეობს მეცნიერის მუზეუმის რეკონსტრუქცია. 22 ნოემბერს, იუბილეს დღეს, აქ საფუძველს ჩაუყრიან ბ. ვ. ლომონოსოვის პარკს.

განვავითარებთ და განვამტკიცებთ სსრკ-იაპონიის ურთიერთობა

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით 8-დან 22 სექტემბრამდე საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა იაპონიის პარლამენტის კომუნისტი დეპუტატების დელეგაცია. სტუმრები იყვნენ მთელ რიგ ქალაქებში, ეწვივნენ სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, ესაუბრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარეს ო. ვ. კუუსინენსა და სხვა საბჭოთა მოღვაწეებს. იაპონიის პარლამენტის დეპუტატებმა მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა კავშირის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სსრ კავშირისა და იაპონიის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა

გაიხსნება 1961 წლის 27 სექტემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია წარმოებს 1961 წლის 24 სექტემბრიდან ყოველდღიურად დილის 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში (შიო ჩიტაძის ქუჩა № 2).

ტელეფონები: 3-62-20, 3-90-24, 2-02-30, 2-03-90.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

უირგიზეთის კომპარტიის ც.კ-ის პლენუმი

ფრუნზე, 22 სექტემბერი. (საკდესი). გაიმართა ყირგიზეთის კომპარტიის XII ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ტ. უ. უსუბადიევი. ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ბ. ა. გავრილოვი, ცენტრალური კომიტეტის მდივნებად — ა. კ. კაზაკბაევი, ვ. ფ. სტეპკინი, პ. ე. ვაკულოვი.

დამტკიცეს ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები და რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორები.

სოხუმი. № 6 სამშენებლო ტრესტის საწარმოთა კომბინატის მოწინავე მუშები შემდეგნელი ლ. ნიკოლაიშვილი (მარჯვნივ), მეარმატურეთა ბრიგადირი ი. იაიცკი და მებეტონეთა ბრიგადირი ი. ბექიროვი დგანან ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე და დავალებას ორმაგად ასრულებენ.

ფოტო ი. ჭობონელიძისა (საკდესის ფოტოკორესპ.)

ავიაკატასტროფის ერთადერთი მოწმე გარდაიცვალა

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ქალაქ ნდოლაში (ჩრდილოეთი როდეზია) ადგილობრივ ჰოსპიტალში გარდაიცვალა სერჟანტი ჰაროლდ ჯულიანი, ჰამარშელდის დაცვის წევრი—ერთადერთი ადამიანი, რომელიც გადარჩა თვითმფრინავის კატასტროფის დროს, რომლითაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ნდოლაში მიდიოდა კატანგელი სეპარატისტების მეთაურ ჩომბესთან შესახვედრად.

რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება ამას და აღნიშნავს, რომ სერჟანტი ჯულიანი, რომელსაც სხეულზე დამწვრობა და ჭრილობები ჰქონდა, ჰოსპიტალში მიიყვანეს მას შემდეგ, რაც იგი ამოიყვანეს თვითმფრინავის ნამსხვრევებიდან კატასტროფის ადგილას 8 მილზე ნდოლიდან.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატები

პარი პირველი

ა ელოფოტოგადაღებები მეოხებით შესწავლილია დედამიწის მთელი ზედაპირი: „თეთრი“ ლაქები აღარ არის. და თუნდაც რომელიმე მიწა-წყალზე კაცის ფეხი არ დადგმულიყოს, მან დანამდვილებით იცის ყველაფერი ამ მიწა-წყლის ნიადაგმბრივ შემადგენლობაზე, მის ფლორასა და ფაუნაზე, არის იქ სასარგებლო წიაღისეული თუ არა. ადამიანს სრული წარმოდგენა აქვს იმ მიწაზე, სწორედ ისე, როგორც კაცმა, რომელიც ლენინგრადში არ ყოფილა, ზზირად იცის, რა მუზეუმებია იქ (და კიდევაც არა ერთგზის უნახავს ერმიტაჟში დაცული სურათების რეპროდუქციები), იცის, რომ ერთ-ერთ სანაპიროზე დგას ორი სფინქსი, ხოლო სენატის მოედანზე — სპილენძის მხედარი, და ბევრჯერ სმენია თეთრი ღამეების სილამაზეზე.

სწორედ ასეგე ჟურნალ „ზნანიე სილაში“ მოთავსებული კინოქრონიკის კადრებით, საგაზეთო წერილებითა და ფოტოსურათებით, აგრეთვე ნაცნობთა ნაამბობით წარმოდგენა გვქონდა რუსთავზე. მაგრამ ეს სრულიად არ ანელებდა იმ ინტერესსა და მოუთმენლობას, რომლითაც ვიჩქაროდით მალე გვენახა ეს ქალაქი. დაე, ფეროფოტოგადაღებამ „აღმოაჩინოს“ დედამიწის ყველა კუთხე — მოგზაურობის რომანტიკა არ გაქრება! ადამიანი ხომ, ახალ ადგილს რომ ნახავს, მუდამ პირველაღმმჩენის სიხარულს განიცდის. იგი აღმოაჩენს ხოლმე არა უდაბნოს ახალ კუთხეს ანდა რომელიმე გაყინულ კუნძულს სამხრეთ პოლუსზე, არამედ ახალ ქალაქებს, ახალ ადამიანებს, ახალ მეგობრებს. მაგრამ უბრალო მოგზაურისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველივე ამას თავისთვის აღმოაჩენს, მწერალმა სხვებისათვის უნდა აღმოაჩინოს.

ყოველივე ამაზე ვფიქრობდით მაშინ, როცა ჩვენი მანქანა გასცდა თრალეთის მთების ვიწროებს და გავიდა სწორ გზატეხილზე, რომლის ბოლოსაც რუსთავი გველოდებოდა. ვფიქრობდით იმაზეც, რომ მწერლისათვის კიდევ დარჩა ძალიან ბევრი „უცაცრიელი“ კუნძული, და რომ ძალიან საინტერესოა ამოხსნა ის ძაფები, რომლებიც ადამიანობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გაბმულიყო ხოლმე დედამიწის ყველა წერტილს შორის, და რომ აქ იმალება უაღრესად საინტერესო მოთხრობები და რომანები.

ერთ-ერთი ასეთი ძაფი გაბმულია რუსთავიდან ჩრდილოეთ ჩინეთის პროვინციაა განსუსთან. აქ, ლუ-ბან-შანის მთაზე დასაფლავებულია ქაცი, რომელმაც დასაბამი მისცა ბრძოლობის, ძარცვის, ძალადობის, ნგრევის მთელ ეპოქას. მისი სახელია ჩინგიზ-ყაენი. მის მიერ გამოცხადებული დამპყრობლური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა 1265 წელს რუსთავი, დაეცა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი საგაზრო და სამრეწველო ქალაქი, ლამაზი და მდიდარი ქალაქი, რომლის მოსახლეობა თითქმის ოცი ათასს აღწევდა.

ადაადარეს მონღოლებმა... ქალაქის ნაშთებს განუწყვეტელივ ეყრებოდა მიწა, წვიდა მზე და საოკუნეთა განმავლობაში ეახის მხოლოდ ნახევრადანგრეული კოშკი მოაგონებდა თაობებს დამპყრობთა ბოროტმოქმედებას.

განვლო შვიდასზე მეტმა წელმა...

ჩვენი „პობედა“ მიჰქროდა ფართო, სტეპმართმოყვრულად გაშართულ ქუჩაზე, რომლის ორივე მხარეს მწვანეში ბრჭყვიალებდა თეთრი, ცისფერი, ვარდისფერი, ნარინჯისფერი სახლების ფანჯრების მინები.

რაკი რუსთავზე ერთგვარი წარმოდგენა გვქონდა, ვფიქრობდით ახლა დაიწყებოდა „გაცნობის“ პროცესის განცდა, მაგრამ შევცდით: დაიწყო „აღმოჩენა“.

ქუჩები თითქოს ახლა დაუფარავთ ასფალტით, დაეყენებინთ ნორჩი ფოთლების სურნელით გაჟღენთილი, ჩრდილოვანი პარკებით, გაეყვანთ მოედნებზე, სადაც აგებული იყო სანატორიუმების მსგავსი სახლები. დავდიოდით ქარხნების ახლოს, სიროიზული და ჩათქრეხილი რომ არიან, როგორც ადამიანები, რომელთაც დიდი საქმე მიანდეს.

ცხოვრობს რუსთავი, შრომობს, ამთავრებს შენებას, მშვენდება. იგი ჰგავს ადამიანს, ვისაც უკვე მოეთრთვის ახალი ბინა და ახლა ლარნაკში ყვავილებს აწყობს.

რუსთავს ხშირად ვადარებთ ადამიანს. ეს შემთხვევითი როდია. ძველ ინდურ ფილოსოფიაში არის მოძღვრება, რომ არაცოცხალი ბუნების საგნებში სული ცოცხლობს. ეს დიდ სიბრძნეს შეიცავს, რადგან ადამიანის სიყვარულის სუნთქვით გამთბარი ნივთები ინახავენ ამ სიყვარულის ნაწილაკს, სითბოს მისხალს, სიცოცხლის ნახახს. რაც უფრო ძლიერია სიყვარული, მით უფრო დიდია სიცოცხლე ქვიტკირის სახლებში, მოასფალტებულ ქუჩებში, პარკებში, ჩარხებში, მილებში...

რუსთავი ემზადება იყოს ქართული ფოლადის წარმომადგენელი ხკკპ XXII ყრილობაზე და უკვე შეავსო ანკეტა:

გვარი, სახელი, მამის სახელი — რუსთავი, ქართველ მეტალურგთა ქალაქი.

დაბადების წელი — 1948.

დაბადების ადგილი — ქვემო ქართლის ვაკე დაშქესანის მაღალსა და ტყვარჩელის ქვანახშირს შორის.

სოციალური მდგომარეობა — სსრ კავშირის მუშა.

შვილები: მამა — საბჭოთა ხალხი.

დედა — საბჭოთა ხელისუფლება.

ა ცაცგარიოგა ინახავს არა მარტო კეთილის, არამედ აგრეთვე საშინელი ბოროტების მოგონებას. სამარადისოდ ჩაწერილია ისტორიაში ატილას, ჩინგიზ-ყაენის, თემურლენგის, ჰიტლერის სახელები და ხიროსიმას, ნაგასაკის შავბნელი დღეები. მათი დავიწყება არ შეიძლება, რათა თაობათა გულში მუდამ ენთოს ცეცხლი სიძულვილისა ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის ადამიანებს დატკბნენ მზის ამოსვლით ან შექმნან ლეგენდები სიყვარულსა და გმირობაზე.

ჩვენ ვიდექით ძველისძველ დანგრეულ კოშკთან, რომელიც ქალაქის აბმაურებული ცხოვრების, მისი ყოველდღიური შრომისა და ბარბაროსულად დანგრევის მოწმე იყო. აქ, გაფანტულ ქვებსა და თიხის ჭურჭლის ნამსხვრევებს შორის, უდიდესი სიცხადით გესმის, რომ ჩაგვრა და ძალადობა ვერასოდეს ვერ მოახერხებენ ქედს სულით ძლიერებს, რომ არასოდეს არ შეიძლება სიცოცხლის მოსპობა.

იქნებ სწორედ აქ, რუსთავის წარსულის მოგონების დროს, როცა ვხედავდით მის აწმყოს და ვმკვრეტდით მომავალს, მოგვენატრა დაგვეწერა დოკუმენტური ნოველა მის სახელოვან ცხოვრებაზე; გვსურდა გვეოქვა ხუროთმოძღვრებისა და ოსტატებისათვის, თუჯის შემქმნელებისათვის, ქალებისათვის, რომელთაც შეილები დაკარგეს, ვაჟებისათვის, დედებს რომ გლოვობენ, სასძლოებისათვის, დაღუპულ საქმრობს რომ დასტირიან, — აღარასოდეს განმეორდება ბოროტმოქმედება, მტერი ვეღარასოდეს ვერ შემოდგამს ფეხს ჩვენს მიწაზე. და კიდევ გვსურდა გვეოქვა საეკუნეებში წარსულთათვის, რომ კვლავ აღორძინებული რუსთავი გახდა ახალი სოციალისტური ფოლადის ბუჯი.

გვსურდა დაგვეწერა დოკუმენტური ნოველა რომელიმე შესანიშნავ რუსთაველ ფოლადმდნობელზე, ჩვენს განკარგულებაში კი იყო მეტად მცირე დრო, რომ ჩავწვდომოდით ქალაქის ცხოვრებას, ჩამოსულებად

წინასაყრილობო ტრიბუნა

განვიხილავთ სკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს

პარტიულ კონფერენციებზე

დიადი პროგრამის შუქით

კონფერენციის მთელი ყურადღება, დელეგატები ეზრი და ფიქრი მიმართული იყო თანამედროვეობის შესანიშნავი დოკუმენტების — სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებისადმი. დელეგატები აღტაცებით ლაპარაკობდნენ პარტიის დიდ წინასწარდასახულობებზე, მომავლის ნათელ გეგმებზე და კონკრეტულად უკავშირებდნენ მათ საკუთარი რაიონის, სოფლის, კოლმეურნეობის ამოცანებს.

ამიტომ იყო, რომ პარტიის სიღნაღის რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში, მოკამათეთა გამოსვლებში განვლილი მუშაობის ანალიზთან ერთად მთავარი ყურადღება მიექცა რაიონის მრავალდარგოვანი მეურნეობის ხვალინდელ დღეს, წინასწარ პერსპექტივებს, იმას, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლიათ სიღნაღის რაიონის გზრომელებს, პარტიულ ორგანიზაციას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საპატიო საქმეში.

მომხსენებელმა, პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. ბიძინაშვილმა ილაპარაკა იმ დიდი შემოქმედებითი შრომის შესახებ, რასაც რაიონის გზრომელები ეწევიან სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების შესახვედრად.

— ახლა ჩვენი მემინდვრეები და მექანიზატორები, — თქვა მან, — თავდადებით იბრძვიან, რომ დროულად და უდანაკარგოდ აიღონ სიმინდისა და მზესუმზირას მოსავალი, ამასთან საფუძველი ჩაუყაროს მომავალი წლის უხვ მოსავალს.

რა უნდა გაკეთდეს საამისოდ?

„ჩვენ, შემოდგომაზე, რაიონის კოლმეურნეობებმა 21.500 ჰექტარი უნდა დათესონ. ყველგან გაჩაღებულია ნიადაგის ხვნა. თესვისათვის მზადებაში დაწინაურდნენ სოფლების ძველი ანაგის, ქვემო ბაჩხანის, ნოკრიანის კოლმეურნეობები. წარმატებით მიმდინარეობს მანქანა-იარაღების რემონტი, მომარაგებულია თესლი და სხვ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. სიმინდის დასათესად გამოყოფილია სატკეცესო, უმთავრესად სარწყავი ნაკვეთები, ნახვნავზე მეტი ფართობი უკვე მოხნულია მზრალად.

— გვალვამ წელს დიდად დაგვაზარალა, — აბობდნენ დელეგატები, — ამიტომაც ვერ შეგასრულეთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გეგმები. მაგრამ სიღნელეები როდი გვაშინებს. ჩვენს ხელთ არის უამრავი რეზერვები და საშუალებანი, რომლებითაც ვძლევთ ბუნების სტიქიას! ჩვენი რაიონის მექანიზატორებსა და მემინდვრეებს არასოდეს არ ჩაუტარებიათ თესვა ასეთ დიდ ფართობზე, როგორც წელს. მარცვლეული კულტურების მთელი ნათესი ფართობი 32.700 ჰექტარს აღწევდა. მარტო სიმინდი დათესეთ 16.600 ჰექტარზე.

სიმინდის მაღალ მოსავალს იღებენ ცალკეული ბრიგადები, რგოლები, მემინდვრეები. კომუნისტები შრომის ავანგარდში არიან. ძველანაგელი კოლმეურნის კომუნისტ ანა დეკიძის რგოლი 10 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერ სიმინდის მარცვალს იღებს, ხოლო გაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტ სიყვარულა ბრიგადა — ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერს. შრომის მოწინავენი რაიონში ერთეულები როდი არიან!

გვალვის შედეგად განსაკუთრებით ღიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ მეცხოველეები. მაგრამ მათი ენერგიული მუშაობით, შესაძლებელი შეიქნა არ შემცირებულიყო პირუტყვის სულადობა, ამასთან გადიდებულიყო პროდუქტების წარმოება.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მიმდინარე წლის რვა თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 29 ტონით გაიზარდა რძის წარმოება. რაიონში ბევრია ისეთი მწველავი, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დღისათვის შეასრულებენ წველადობის წლიურ გეგმებს, მაგალითად ძველი ანაგის კოლმეურნეობიდან ვ. ბეგიაშვილი, ნოკრიანის კოლმეურნეობიდან ვ. მაზიაშვილი და სხვ.

მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ ძველანაგელ ნოვატორ მეცხვარეებს გ. მჭედლიშვილს და გ. ჩალაბაშვილს, საქობოელ მეღორეებს ღ. სანდერაშვილს და გ. ახეწვაშვილს.

ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირუტყვის გამოზამთრებას, მეცხოველეობის ფერმებში მოწინავე გამოცდილების დანერგვას, პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას.

მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე გაამახვილეს ყურადღება დელეგატებმა ვ. ჯანიაშვილმა, კ. მაზიაშვილმა, ი. ძანაშვილმა და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანი რაოდენობით დამზადებულია უხეში საკვები და ახლა აწარმოებენ მის შემოზიდვას ფერმებთან. რაიონში უკვე დამზადებულია 17.900 ტონამდე სილოსი.

— მაგრამ ამ საქმეში არის ნაკლოვანებებიც, — აღნიშნა სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბეგიაშვილმა. — ხშირად სამუშაოები ფერხდება იმის გამო, რომ თვის ასაღები მანქანებისათვის საათადარიგო ნაწილებით ცუდად ვმარაგდებით.

— არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, — აღნიშნავდნენ კონფერენციის მონაწილენი, — მთელ რიგ კოლმეურნეობებში ყურძნის მაღალ მოსავალს იღებენ. აუცილებლად შეგასრულებთ ყურძნის გადამუშავების გეგმას. ახლა ღიდ ღონისძიებას ვატარებთ იმისათვის, რომ მომავალ წელს გავაშენოთ 600 ჰექტარ ფართობზე ვენახი, ხოლო 20 ჰექტარზე — ხეხილის ბაღი.

დელეგატებმა ამ წარმატებებთან ერთად აღნიშნეს სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის რაიონის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში.

— ზოგიერთ კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დაბალი დონე, — ამბობს დელეგატი ი. ალავერდაშვილი, — არ შეიძლება მარტო ცუდი ამინდებით ავხსნათ. პირველად პარტიული ორგანიზაციები და კოლმეურნეობათა გამგეობები ხშირად ვერ იჩენენ ინიციატივას, კონკრეტულად ვერ ხელმძღვანელობენ საქმეს. მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულებისას ადგილი აქვს იერიშობანას.

კომკავშირის რაიკომის მდივანმა ო. მანჯაფარაშვილმა ილაპარაკა ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე, კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებაზე.

დელეგატები განსაკუთრებული გულისტკივნით ლაპარაკობდნენ ცალკეულ მაზარ გამოვლინებათა შესახებ — ქურდობის, ხულიგნობის, სახელმწიფო ქონების მითვისებისა და სხვა ფაქტებზე. აღინიშნა, რომ კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლას ჯერ კიდევ სუსტად ეწევიან სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ **გ. ნ. ჯიბლაძის** მოხსენება საბჭოთა კავშირის კომფინსტიტი პარტიის ახალი პროგრამის პროექტის შესახებ.

— პარტიის პროგრამა ჩვენი მომავლის პროგრამაა, — ამბობდნენ კამათის მონაწილე დელეგატები, — ენერგიას არ დავიშურებთ, რომ ღირსეული წვლილი შევიტანოთ ამ პროგრამის განხორციელებაში!

კონფერენციამ მოისმინა ადგილთვე მოხსენება სკკპ წესდების პროექტის შესახებ. მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის მეორე მდივანი **ა. გონაშვილი.**

დელეგატებმა პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვისას ბევრი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს.

კონფერენციამ განხილულ საკითხებზე მიიღო დადგენილებები, აირჩია პარტიის რაიკომის ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია და საქართველოს კპ XXI ყრილობის დელეგატები. („კომუნისტის“ სპეც. კორ.).

რომ მსოფლიოში იყოს მშვიდობა...

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესია

ვარშავა, 22 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის ორდღიანი სესია. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია სტოკჰოლმში მიმდინარე წლის ნოემბრის მეორე ნახევარში. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია განიხილავს განიარაღების პრობლემასა და საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მშვიდობის დამცველთა მსოფლიო მოძრაობის ახალ ამოცანებთან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ განცხადებას შეთანხმებული პრინციპების შესახებ განიარაღებაზე მოლაპარაკებისათვის.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა ხალხებსა და მთავრობებს განახორციელონ ღონისძიებანი მშვიდობის დამყარების გზაზე არსებული ყველა პრობლემის გადასაჭრელად. შემფოთების მთავარი წყარო — გერმანიის პრობლემა უნდა გადაიჭრას საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის გზით. განცხადებაში ნათქვამია, რომ საზავო ხელშეკრულებამ უნდა: 1) ცნოს ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა; 2) გერმანიის არსებული საზღვრები, ცნოს საბოლოოდ; 3) დასავლეთ ბერლინი გადაიქცეს თავისუფალ და ნეიტრალურ ქალაქად სტატუსით, რომელიც გარანტირებული იქნება ოთხი სახელმწიფოს მიერ და ამ ქალაქში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების არსებობით და რომელსაც უზრუნველყოფილი იქნება კავშირი ყველა სახელმწიფოსთან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კენედის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გამოთქვამს დიდ კმაყოფილებას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამრომლობს შორის მიღწეული შეთანხმების გამო, რომელიც ჩამოყალიბებულია ერთობლივ განცხადებაში განიარაღებაზე მოლაპარაკებისათვის პრინციპების საკითხზე.



კონსერვატიული პარტიის დეპუტატებმა და ლეიბორისტული პარტიის დეპუტატთა უმრავლესობამ, გარდა 6 კაცისა, ხმა მისცეს დასავლეთ გერმანიის ჯარების შეჭრას ინგლისის მიწა-წყალზე (კაბეჭდებიდან).

კონსერვატორ-ლეიბორისტული ბრამკლინი.

ნახ. გ. ლომიძისა.

აღვუდგინოთ ჩინეთს უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გენერალურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). მრავალი წლის განმავლობაში პირველად შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლეს ჩაეშალათ გენერალური ასამბლეაზე იმ საკითხის განხილვა, რომ აღდგენილ იქნეს ჩინეთის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

გენერალური კომიტეტის განსახილველად იყო ორი ორი წინადადება: სსრ კავშირის მკაფიოდ დაფორმულებული წინადადება იმის შესახებ, რომ სესიის დღის წესრიგში შეიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხი, და ახალი ზელანდიის ბუნდოვანი წინადადება „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის შესახებ“. ახალი ზელანდიის წინადადება დასავლეთის სახელმწიფოთა მანევრირების შედეგია. ამერიკის პრესის ცნობებიდან ჩანს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა მიანდეს ახალ ზელანდიას ამ საკითხის დაყენება ერთად-ერთი მიზნით — არ გაიტეხონ იხტიბარი, ე. ი. ცხადყონ, რომ თითქოს არ არიან წინააღმდეგი ამ საკითხის განხილვისა, ამავე დროს ხელი შეუშალონ მის გადაჭრას ასამბლეის პლენუმზე, გადასცენ იგი „შესასწავლად“ სპეციალურად შექმნილ კომიტეტს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების დასაცავად გამოვიდნენ სოციალისტური ქვეყნების — სსრ კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის დელეგატები. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა განაცხადა, რომ იმათ, ვისაც სურს გადაჭრას თვით ცხოვრების მიერ დაყენებული საკითხი, ვერ დააკმაყოფილებს ახალი ზელანდიის ბუნდოვანი დფორმულება, რომელიც ყოველგვარი მანევრების საშუალებას იძლევა. ჩვენს წინაშე, თქვა მან, დგას ამხოლო ერთი საკითხი — დაუყოვნებლივ აღვადგინოთ ჩინეთის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და განვდევნოთ ჩანკაიშელი, რომელიც არავის წარმომადგენელი არ არის და უკანონოდ უკავია ეს ადგილი. უაზრო და შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, განაგრძო საბჭოთა დელეგატმა, როცა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოსახლეობით — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელსაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 40 ქვეყანასთან, ხელოვნურად და უკანონოდ მოკლებელია უფლებას თავისი წევლილი შეიტანოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში.

გენერალურმა კომიტეტმა ურჩია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეიტანოს სესიის დღის წესრიგში ორიგე წინადადება. საბჭოთა წინადადება მიღებული იყო შვიდ ხმით (ბულგარეთი, განა, დანია, ლიბერია, ნიგერი, სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია). მის წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოდ კოსტა-რიკამ, ფილიპინებმა და ჩანკაიშელმა; 10 დელეგაციამ თავი შეიკავა (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია, საბერძნეთი, კვიპროსი, არგენტინა, მექსიკა, პანამა).

ახალი ზელანდიის წინადადების მხარეს ხელი ოცდაოთხმა ქვეყანამ. ბულგარეთმა, სსრ კავშირმა, ჩეხოსლოვაკიამ, ავრეთვე კოსტა-რიკამ და ჩანკაიშელმა თავი შეიკავეს.



კვლავ, როგორც წინა წლებში, ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით კომიტეტმა „ურჩია ასამბლეას სესიის დღის წესრიგში შეიტანოს ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხი“. ამას ხმა მისცეს 26 დელეგაციამ, წინააღმდეგ 3 (სოციალისტური ქვეყნები) დელეგაციამ, ორმა დელეგაციამ — განისა და ნიგერის დელეგაციებმა თავი შეიკავეს. თვალიანთ გამოსვლებში კომიტეტის წევრებმა — სსრ კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის დელეგატებმა და სხოლმაზე მოწვეულმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა ეს გადაწყვეტილება დაახასიათეს როგორც მეუწყნარებელი ცდა ჩაერიონ უნგრეთის საშინაო საქმეებში, როგორც მისწრაფება — გაამწვავონ ცივი ომი.

გენერალურმა კომიტეტმა ერთხმად გადაწყვიტა ურჩიოს გენერალურ ასამბლეას შეიტანოს დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული ის საკითხი, თუ როგორ ხორციელდება დიეტალარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ხალხთა მძლავრი მოთხოვნის წინაშე, რომ სამეფოდმოდ მოეღოს ბოლო კოლონიალიზმის სამარცხვინო ბატონობას, კოლონიზატორებმა და მათმა მფარველებმაც კი ვერ გაბედეს წინააღმდეგობა გაეწიათ საბჭოთა კავშირის წინადადებისათვის.

გენერალურმა კომიტეტმა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-16 სესიის დღის წესრიგის განხილვა.

პოლიტიკური ბაზრობა დასავლეთში

ჩვენი მიმომხილველის შენიშვნები

კონრადი ტირის

ამდენიმე დღის წინათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარებული არჩევნების შედეგები კვლავ იპყრობს მსოფლიოს ყურადღებას.

ადენაუერ-შტრაუსის მმართველმა პარტიებმა — ქრისტიანულ დემოკრატიულმა კავშირმა და ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა დამარცხება განიცადეს. წარსულ არჩევნებთან შედარებით ადენაუერის პარტიამ დაკარგა 700.000 ამომრჩევლის ხმა. თუ ბუნდესტაგის წინანდელ შემადგენლობაში ადენაუერ-შტრაუსს 270 დეპუტატი ჰყავდათ, ახლა მხოლოდ 241 დეპუტატი ეყოლებათ. ბუნდესტაგში მათ ხმების აბსოლუტური უმრავლესობა არ ექნებათ.

ბრანდტ-ვენერის ჯგუფმა, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ამ მემარჯვენე დაჯგუფებამაც ვერ მიაღწია დასახულ მიზანს. ბუნდესტაგში ამ ჯგუფს ახლა 190 დეპუტატი ეყოლება და ვერ ითამაშებს გადამწყვეტ როლს ფედერაციულ რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის დროს.

ორჯერ მეტი ხმა მიიღო მესამე ბურუჟაზიულმა პარტიამ ე. წ. თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც სხვათა შორის, ადენაუერ-შტრაუს-ბრანდტთან შედარებით უფრო წინადახედულ წინადადებებს აყენებს, ემყარება რა საერთაშორისო არენაზე არსებულ ძალთა რეალურ შეფარდებას.

ბონში ახლა გაცხოველებული პოლიტიკური ვაჭრობაა. როგორი მთავრობა შედგება, ვინ იქნება რიხსკანცლერი? ამერიკელი მფარველები აჩქარებენ ბონელ პოლიტიკოსებს—გაათავეთ ვაჭრობა, მსოფლიოში მეტად სახიფათო ვითარებაა.

კანცლერის სავარძლისათვის ახლა ფაქტიურად სამი პიროვნება იბრძვის: აშკარად ადენაუერი და ერჰარდი, კულისებს იქით — შტრაუსი, რომელმაც სხვათა შორის მნიშვნელოვნად განმტკიცა პოზიციები ბავარიაში. გერმანიის იმ მიწაზე, სადაც ყველაზე კარგად გრძნობდა თავს ჰიტლერი.

ვერ იქნა და ვერ შთააგონეს 85 წლის კონრად ადენაუერს, რომ, სხვა რომ არა იყოს რა, ის ღრმად მოხუცია. მისი მეგობრებიც კი ემუდარებიან — დაისვენეთ, გაგიჭირდებათ სახელმწიფოს მეთაურის მძიმე ტვირთი მოხუცი მხრებით ზიდოთო.

კონრადი ურჩობს, ყველას ემუდარება, პატარა ხნით მაინც დამტოვეთ კანცლერადო. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მეთაური კატეგორიულად ეწინააღმდეგება ადენაუერის ზრახვებს, ის მოითხოვს, რომ კანცლერად არჩეულ იქნას ადენაუერის ახლანდელი მოადგილე დოქტორი ერჰარდი. ბრანდტ-ვენერის ჯგუფი ყოყმანობს, ამ ჯგუფს საკუთარი კომბინაციები აქვს ჩაფიქრებული.

21 სექტემბერს ადენაუერის პარტიის ხელმძღვანელი ცენტრის სხდომაზე კონრადს პირდაპირ სთხოვეს უარი ეთქვა კანცლერობაზე.

ამას კი ვეღარ გაუძლო მოხუცმა კანცლერმა და... ატირდა. თავის დროზე ადენაუერი ამბობდა, მე მაგარი ქედი მაქვს, კისერს ადვილად ვერავინ მომიგრეხსო. ეტყობა, ადენაუერს უღალატა ქედმაც და ნერვებმაც. ტირილმა გაჯერა, მისმა პარტიამ ადენაუერი კვლავ წამოაყენა კანცლერის პოსტზე.

ადენაუერი ქვეითინებს, ბონში პოლიტიკური ვაჭრობა გრძელდება, ბუნდესვერი კი ძლიერდება; არ დაითხოვეს და ჯარში დატოვეს 40 ათასი მეომარი, ახლად გაიწვიეს 72 ათასი კაცი.

მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა ფხიზლად უნდა იყოს. რევანშისტების ცრემლები ვერავის მოატყუებს, მათი ქვემეხები ვერავის შეაშინებს. ხალხთა უშიშროება კატეგორიულად მოითხოვს გერმანიასთან მშვიდობიან მოწესრიგებას, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციას.

მოიზ ჩომბე... „თეორეტიკოსი“

მოიზ ჩომბე აქამდე ცნობილი იყო როგორც კონგოს ხალხის გმირის პატრის ლუმუმბას მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი.

მსოფლიო პრესა ახლა ბევრს წერს, რომ ბნელი საქმეების ამ ოსტატის ხელი ერია დაგ ჰამარშელდის სიკვდილში.

სხვა მხრივ მოიზ ჩომბეს არავინ იცნობდა, თუმცა ისიც ცნობილი იყო, რომ ის კოლონიზატორების მოსყიდული აგენტია, პატივმოყვარე ავანტიურისტია, რომელიც მზად არის ორ ბაურად გაყიდოს კონგოს ეროვნული ინტერესები.

ახლა მოიზ ჩომბე აღარ კმაყოფილდება თავისი ამბლუათი, ბანდიტმა ლაქიამ თეორეტიკოსობა მოინდომა, მკვლელს სურს თავზე დიდგას სწავლულის დაფნის გვირგვინი.

გაერთიანებული ერების XVI სესიას ჩომბემ მიმართა მემორანდუმით, სადაც ცდილობს დაასაბუთოს, რომ არავითარი ერთიანი კონგო არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს; არ არსებობს კონგოს ერი, მას არ ახასიათებს ერის არც ერთი ნიშანი; არც გეოგრაფიულად, არც ეკონომიურად, არც პოლიტიკურად კონგო ერთ ორგანულ სხეულს არ წარმოადგენს; ამიტომ ის მე ან, უფრო სწორად, ნეოკოლონიალისტებს უნდა ეუთვნოდესო, კატანგა დამოუკიდებელ სამეფოდ უნდა დარჩესო.

ყოფილ დახლიდარს ეს მემორანდუმი, უნდა ვიფიქროთ, ბრიუსელის უნივერსიტეტის რომელიმე მეთრეხრისხოვანმა, ლექტორმა შეუდგენია, და რა ფასი აქვს ამ მემორანდუმს. მაგრამ საქმე ის არის, რომ გაერთიანებული ერების XVI სესიაზე ჩომბეს არა ერთი აშკარა და შენიღბული მფარველი ყავს, რომელიც შეეცდება ამ ბნელი წარსულის და უფრო ბნელი აწმყოს მატარებელი ადამიანის უნიგნური ვარჯიში მსჯელობის საგნად გახადოს.

რა ბრიკებს არ მიმართავენ კოლონიალისტები, რომ როგორმე შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები. ისინი მზად არიან მოიზ ჩომბე თეორეტიკოსად გამოაცხადონ.

ძველი ელინები ამბობდნენ: ღმერთებს რომ ადამიანის დასჯა სურთ, მას გონებას წაართმევენო. კოლონიალიზმის მესვეურები გონების უკანასკნელ ნარჩენებს კარგავენ, იმასაც ვერ ამჩნევენ, თუ რა სასაცილოდ გამოიყურებიან „თეორეტიკოს“ ჩომბეს კამპანიაში.

ბრიყვი ურჩობს

ყოველი ჭკუათმყოფელი ადამიანისათვის ნათელია, რომ დიდი ჩინეთის გარეშე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხალხთა ჭეშმარიტი ფორუმი არ შეიძლება იყოს.

ხალხთა დიდი უმრავლესობის წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ექვსახმილიონიანმა ჩინეთის სახელმწიფომ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს ამ ორგანიზაციაში.

დასავლეთის იმპერიალისტურ წრეებს, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს, სულ უფრო და უფრო უძნელდებათ ჩინეთის დისკრიმინაციის პოლიტიკის გატარება. ხალხები დაბეჯითებით მოითხოვენ ამ უსამართლო ვითარების ლიკვიდაციას და ჩინეთის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

დასავლეთის დიპლომატია ახალ ბრიკებს მიმართავს. მათ ხმა დაარხიეს, რომ არსებულ ვითარებაში შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილი იქნება ორი ჩინეთი — კონტინენტალური ჩინეთი და ტაივანის კუნძულზე მოკალათებული ჩან-კაი-შის ბრიგადა. ამ „ჩინადდების“ უგუნურობაზე ჯავაჰარლალ ნერუშაც მიუთითა, რომელმაც ამას წინათ აღნიშნა, რომ არსებობს ერთი ჩინეთი, რომელმაც თავისი კანონიერი ადგილი უნდა დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ ჩან-კაი-ში არავის წარმომადგენელი არ არის.

XVI სესიაზე ამას წინათ დასავლეთელმა დიპლომატებმა და მათმა ტაკიმასხარამ — ჩანკაიშელმა ტრაგიკომიკური ფარსი გათამაშეს. ჩანკაიშელმა განაცხადა, რომ ის დაუყოვნებლივ დატოვებს გაერთიანებულ ერებს, თუ იქ ჩინეთის წარმომადგენელი გამო ჩნდება.

ჩანკაიშელის ეს განცხადება ღიმილის მეტს არაფერს გამოიწვევდა, რომ ერთ ბრიყვს სხვა ბრიყვი არ უჭერდეს მხარს.

ხალხები რწმუნდებიან, თუ რა ბეცია ის პოლიტიკა, რომელიც რეალურ ცხოვრებას ანგარიშს არ უწევს, გოლიათს არ ამჩნევს და ტაკიმასხარა ქონდრისაცებს ზურგს უმაგრებს, ახალი პროვოკაციებისაკენ უბიძგებს.

სიმართლე გასჯრის. დიდი ჩინეთი კუთვნილ ადგილს დაიკავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ვლ. მაჰავარიანი.

ტელეგრაფი გვაცყობინებს

სტამბოლი, 22 სექტემბერი. (საკდესი). დღეიდან თურქეთში კვლავ მოიმატა პურის ფასებმა. მიუხედავად იმისა, რომ პურის ბატონის ღირებულება უწინდელ დონეზე დარჩა, წონა საგრძნობლად შემცირდა. თუ წინათ 60 ყურუშად იყიდებოდა 860 გრამი ბატონი, ახლა ამ ფასად იყიდება ბატონი, რომელიც 710 გრამს იწონის.

ბუდაპეშტი, 22 სექტემბერი. (საკდესი). დებრეცენში წარმატებითი გამოცდის შემდეგ მწყობრში ჩადგა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ატომგულის საკვლევი ინსტიტუტის ახალი ციკლოტრონი.

რ ოგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გამოცდის დროს ნაწილაკთა დამაჩქარებელმა ოცდაათ წუთში მიაღწია თავის მაქსიმალურ სიმძლავრეს და ნორმალურად მუშაობს.

ახალი ციკლოტრონის მშენებლობაში უნგრელ სპეციალისტებს დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა მეცნიერებმა.

ეს როგორ უსწორდებიან თანამედროვე ინგლისში პატრიოტებს, რომლებიც ქუჩაში გამოსულნან იმისათვის, რომ მოითხოვონ ატომური რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავების ამერიკული ბაზის ლიკვიდაცია. დაპატიმრება და პოლიციელთა მუშტები — აი რა აამოქმედეს შოტლანდიის ქალაქ დანუნის მოქალაქეთა წინააღმდეგ.

აღუღას მთავრობის განცხადება

ლონდონი, 22 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ლეოპოლდვილიდან იუწყებიან, შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა კატანგელ სეპარატისტებთან ჩომბეს მიერ წამოყენებული პირობებით, კვლავ მწვავე უკმაყოფილებას იწვევს კონგოს რესპუბლიკის დედაქალაქის პოლიტიკურ წრეებში.

პარლამენტის დახურული სხდომა, რომელიც დღეს გაიმართა, როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მიეძღვნა კატანგის საკითხს. მთავრობის წევრები თავიანთ გამოსვლებში პარლამენტში დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ საჭიროა ყოველი საშუალებით მოეღოს ბოლო კატანგის ჩამოშორებას რესპუბლიკისაგან, მათ შორის, რადგან ეს საჭიროა, ძალის გამოყენების გზით.

დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ჩომბეს შორის ხელმოწერილია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მთავრობამ უნდა გამოიყენოს — თავისი საკუთარი საშუალებანი, რათა აღმოფხვრას კატანგის გამოყოფა.

ვინ შეცვლის ჰამარშელდს?

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა, რომელიც გუშინ გამოვიდა უცხოელ ჟურნალისტების ასოციაციის საფრენ ნიუ-იორკში, განაცხადა, რამდენადაც ამჟამად არ შეიძლება მოველოდეთ სწრაფ შეთანხმებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კანდიდატურის საკითხზე, შეერთებულ შტატებს საჭიროდ მიაჩნიათ განახორციელონ ღონისძიებანი გენერალური მდივნის ფუნქციათა ეფექტიანი და სრული შესრულებისათვის, სანამ გენერალური მდივნის ახალი კანდიდატურა გამონახებოდეს. რასკმა თქვა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეკარჩიოთ „გამოჩენილი მაოფლიო ლიდერი“, რომელიც დროებით შეასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ფუნქციებს. სახელმწიფო მდივანი ამტკიცებდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოში საერთაშორისო ასპარეზზე არსებული სახელმწიფოთა სამი დაჯგუფების წარმომადგენლთა დანიშვნით თითქოს „პარალიზებულ იქნება“ ამ ორგანიზაციის საქმიანობა.

თავისი გამოსვლის დასასრულს რასკმა იმედი გამოთქვა, რომ ღრუბლები, რომლებიც მსოფლიოს ამ უკანასკნელ ხანს ჩამოეწვა, გაიფანტება.

საიდუმლო მოლაპარაკება

ბონი, 22 სექტემბერი. (საკდესი). ბონში გაიმართა ნორვეგიის თავდაცვის მინისტრის ჰარლემისა და ბონის თავდაცვის სამინისტროს სტატს-მდივნის ჰოპფის ორდღიანი საიდუმლო მოლაპარაკება. ჰოპფი დროებით ცვლის თავდაცვის მინისტრს შტრაუსს. როგორც ღღეს გაზეთი „გენერალ-ანცეიგერი“ იუწყება, განიხილავდნენ საკითხს ნორვეგიის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის დასავლეთ გერმანიის 10-15 უახლესი წყალქვეშა ნავის მიწოდების შესახებ. თავის მხრივ ნორვეგიის მთავრ

სკვირეთ ფვერდი

„კომუნისტი“

არქეოლოგები პოულობენ უძველეს ქალაქს

გამხმარი ტოტებით დაფარული პატარა ფარდულის ქვეშ ვისხედით. უბერავდა ზღვის ნიავი, როგორც ეს ჩვეულებრივ არის ხოლმე ბიჭვინთაში. დღეები კლებულობდა, სოდამობრი უკვე გრილოდა, ღღისით მაინც კიდევ დიდი სიცხე იყო.

ჩვენ წინ ისეთი სურათი იყო გადაშლილი, თითქოს რაღაც მშენებლობა იწყებოდა და ადამიანებს შენობათა საძირკვლები ამოჰყავდათ. მთელი ეს „მშენებლობა“ გარშემორტყმული იყო ძველი კვიპარისებით, რომლებიც ალბ თითქოს შემოღობილი იყო დანარჩენი სამყაროსგან.

მუშები ნელა და ფრთხილად, პირდაპირ ხელებით სინჯავდნენ ამოთხრილ მიწას, ცდილობდნენ არ გამოპარვოდათ არაფერი, იქნებოდა ეს თიხის ჭურჭლის ნამტვრევი თუ ლითონის ნაჭერი და ძვლის ნატეხები.

მაგრამ უფრო მეტად თუ დაინტერესდებოდი, დარწმუნდებოდი, რომ ეს მშენებლობა არ იყო. გაწმენდილი კედლები, რომელიღაც ძველი შენობების საძირკვლებს წარმოადგენდა, ხოლო ადამიანები მშენებლებს არა ჰგავდნენ. ეს იყო ექსპედიცია, რომელშიც შედიოდნენ მეცნიერებათა დოქტორები ანდრია იფაქიძე და ირაკლი ციციშვილი, მეცნიერებათა კანდიდატები რამინ რამინ რამაშვილი და რუსუდან ფუფუტრიძე, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლები გიორგი დუნდუა და ალექსი ბოხოჩაძე.

ექსპედიცია აწარმოებდა უძველესი ქალაქის არქეოლოგიურ გათხრას, თანდათანობით აღადგენდა ამ დასახლების ისტორიას, რათა შეეცნო შორეული წარსული ძველი საქართველოსი, რომლის ისტორიაში ჯერ კიდევ ბევრია „თეთრი ლაქა“.

ჩვენ ვსაუბრობდით. და აი რა გვიამბეს არქეოლოგებმა.

ბიჭვინთა საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ეს ისტორიული სახელწოდება დაკავშირებულია ფიქვის ტყესთან, რომელიც მიწის ამ ნაკვეთზე უხსოვარი დროიდან არსებობს. ამ ქალაქის ძველი ბერძნული სახელწოდება პიტიუნტიც ფიქვის სახელწოდებასთან არის დაკავშირებული.

ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ცნობილი ბერძენი მწერალი არტემიდორე ეფესელი იხსენიებს ბიჭვინთას როგორც „დიდ და მდიდარ ქალაქს“. მასასადამე, ქალაქი დაარსებული ყოფილა რამდენადმე ადრე, ჩანს იმ დასახლებათა ფუძეზე, რომელთა კვალი აღმოჩენილია ბიჭვინთის კონცხის ტერიტორიაზე.

ბიჭვინთა მნიშვნელობას ინარჩუნებდა შემდგომ საუკუნეებშიც, მიუხედავად რომის იმპერიის ცდებისა გადაეტანა ბიჭვინთა თავის მთავარ დასაყრდენ პუნქტად იმ მიზნით, რომ ერთი მხრივ დაეცვა თავისი გავლენის სფერო მომთაბარე ტომების შემოსევისაგან ჩრდილოეთიდან და მეორე მხრივ დაემორჩილებინა ადგილობრივი მოსახლეობა. ამ მიზნით ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში ბიჭვინთაზე რომაელთა გარნიზონები იყვნენ.

325 წლიდან ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე მონაწილეა ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებისა. ამით დასტურდება, რომ ბიჭვინთა საქართველოში ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი კერაა და ამავე დროს მთელი ახლო აღმოსავლეთის დიდი კულტურულ-რელიგიური ცენტრია. ასეთი რნება ბიჭვინთა შუა საუკუნეებშიც. ამ დროს ეკუთვნის X საუკუნის ჯვარედრალური ტაძარი და თავისი არქიტექტურული ფორმებით უნიკალური მეორე ეკლესია. რომელიც არქეოლოგებმა შავი ზღვის ნაპირზე აღმოაჩინეს.

ათი წლის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველ დაზვერვას აწარმოებდა. აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი ძველი ეკლესიები, მათ შორის ბიჭვინთაზე ციხის გალავანი, რომელიც შემოვლებული ჰქონდა დიდ ტერიტორიას. მაშინვე შესრულებულ იქნა რამდენიმე საძიებო გათხრა, რომელთა შედეგად აღმოჩენილ იქნა ძველი ქალაქი.

არქეოლოგიურ აღმოჩენათა შედეგად „დიდი პიტიენტი“ გვევლინება როგორც დიდი, ძველი ქალაქი, რომლის ცენტრალურ ნაწილს შემოვლებული ჰქონდა მრავალი კოშკით გამაგრებული გალავანი. გალავანს, რომლის სიმაღლე ოთხ მეტრს აღწევდა, დიდი კოშკები და კონტრფორსები აქვს. კოშკების ყველა სართული საცხოვრებლად ან სამეურნეო დანიშნულებისათვის ყოფილა გამოყენებული. არქეოლოგთა მრავალი წლის მუშაობის შედეგად გაწმენდილ იქნა გალავანი, რამაც შესაძლებელი გახადა ციხის გეგმის აღდგენა.

როგორც ახლა უკვე დადგენილია, ციხე შენდება ორი ნაწილისაგან. ძირითადი ნაწილი წარმოადგენს სწორკუთხედს, რომელშიც იყო საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსები. მეორეა მიშენებული ნაწილი, სადაც ეკლესიები და საყოფაცხოვრებო ობიექტები იყო. ციხის გარშემო მდებარეობდა ქალაქი, რომლის მოსახლეობა მტრის შემოსევის დროს ციხეს შეეფარებდა ხოლმე თავს. მოსახლეობა ცხოვრობდა ადგილობრივი მასალებით ნაგებ პატარა სახლებში. ეს აღმოჩენა არქეოლოგების პირველი ნაბიჯი იყო. საჭირო იყო დეტალური გამოკვლევის წარმოება ციხის შიგნით.

ხანგრძლივი ძებნის შემდეგ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ორი ტაძარი. ერთი აგებული ყოფილა მეოთხე საუკუნეში, შემდეგ ღანგრეულა და მის რეკონსტრუირებულ საძირკველზე ორი საუკუნის შემდეგ აუშენებიათ ახალი ტაძარი. ამას ადასტურებს პირველადს საძირკველზე აყვანილი უფრო განიერი კედელი, რომლის შენებისას ნახმარია სხვა დუღაბი. პირველი ტაძრის იატაკზე დაგებულია მოზაიკა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს საქართველოში ყველაზე ძველი მოზაიკაა, რომელიც გელათის ცნობილ მოზაიკაზე 800 წლით ადრეა დამზადებული.

ეს მოზაიკა საინტერესოა თავისი სიუჟეტური კომპოზიციებით. აქ არის სხვადასხვა ორნამენტები, ფრინველების, ცხოველების, თევზების გამოსახულება. ყველაფერი ეს განსასაზღვრავს ძველ ქრისტიანულ სიმბოლიკას, ამასთან ამ მოზაიკას ბევრი აქვს საერთო ქრისტიანობამდე არსებულ ძველ ბერძნულ ხელოვნებასთან და სხვა ქვეყნებში არ გეხვდება, რის გამო განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

პირველი ტაძრის ირგვლივ დაუნგრევიათ. ტაძრების ეს ნგრევა მოწმობს, რომ ამ საუკუნეებში გაიფურეებული ომები წარმოებდა.

ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა საზოგადებრივი აბანო. გათხრის დროს მიაგნეს გათბობის სისტემას, ცივი, თბილი და ცხელი წყლის სათავსოებს. მეშვიდე საუკუნისათვის ციხეს დაუკარგავს სამხედრო მნიშვნელობა და დაუწყიათ ძველი შენობების რეკონსტრუქცია. ციხეში კარგად ყოფილა განვითარებული წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემა. რასაც მოწმობს აღმოჩენილი კოლექტორები, თიხის მილები.

მიმდინარე წლის აგვისტოში ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა კერამიკულ ნაკეთობათა გამოსაწვავი ღუმელი. თავისი კონსტრუქციით ეს ძლიერ ორიგინალური მრგვალი ნაგებობაა. ეს აღმოსაჩენი დაახლოებით მეექვსე საუკუნეს განეკუთვნება. აღმოჩენილ იქნა დიდი ხორცისსაცავი, რომელშიც დანახშირებული ხორცალი იყო, აგრეთვე დიდი მარანი ღვინის უზარმაზარი ჭურჭლებითა და საწნახლებით.

გათხრებმა უდიდესი ნუმიზმატური მასალა მოგვცა. ძირითადად ეს არის რომაული, ტრაპიზონული და ბიზანტიური მონეტები. ისინი II, III, IV, და VI საუკუნეებით თარიღდება. ეს მოწმობს ინტენსიურ ვაჭრობას და ეკონომიურ ურთიერთობას რომის იმპერიასთან, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლთ სანაპიროსთან და ბიზანტიასთან. განსაკუთრებით უსდა აღინიშნოს ორი განძი. პირველი აღმოჩენილ იქნა 1958 წელს. იგი შედგება სპილენძის 149 მონეტისაგან, ამასთან ზოგიერთი მათგანი დღემდე არსად არ ყოფილა აღმოჩენილი. წელს იპოვნეს მეორე განძი, რომელიც 55 მონეტისაგან შედგება. ასეთი მონეტები საქართველოს ტერიტორიაზე პირველად არის ნაპოვნი. ბევრ მათგანზე გამოსახულია ბიზანტიის იმპერატორი იუსტინე I.

ძვირფასი აღმონაჩენია აგრეთვე თევზსაჭერი ნემსკავები, მინის ნივთების ფრაგმენტები და სხვ.

კიდევ ბევრი უცნობი რამ არის დაფარული ბიჭვინთის მიწაში. გავა წლები. არქეოლოგები განაგრძობენ გათხრებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ძველი საქართველოს ქალაქური ცხოვრების ისტორიის აღდგენისათვის.

ვლ. გინზბურგი.

ბიჭვინთა.

* * *

სურათებზე: ზემოთ — მეცნიერებათა დოქტორები ა. იფაქიძე (მარჯვნივ) და ი. ციციშვილი ბიჭვინთის გათხრებზე. ქვემოთ — აი ასეთი ღუმელი აღმოაჩინეს არქეოლოგებმა.

ფოტო ავტორისა.

გვწერენ. გვატყობინებენ...

კარგი ინიციატივა

სოუმი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა სოხუმის ქალთა პირველი კონფერენცია, რომელმაც იმსჯელა იმის შესახებ, თუ როგორ მონაწილეობენ აფხაზეთის დედაქალაქის ქალები კომუნისტურ მშენებლობაში.

კონფერენციამ აირჩია ქალთა სოხუმის საქალაქო საბჭო, რომელიც წარმართავს ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში შექმნილ ქალთა საბჭოებისა და სექციების მუშაობას.

შენდება, მშვენდება

დანიზი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში, ადმინისტრაციული სახლის წინ, ახლახან დამთავრდა 18-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აქ რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს კომფორტაბელური საცხოვრებელი ბინები.

აქვე არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს სამსართულიანმა საკმაოდ დიდმა შენობამ. ეს საშუალო სკოლაა, რომელიც მიმდინარე სასწავლო წლისათვის ააგეს.

რაიონის ცენტრში შენდება და უახლოეს პერიოდში დამთავრდება კულტმომსახურების კომბინატი, ორი საცხოვრებელი სახლი და პროკურატურის შენობა.

... ...

... ...

ბუნებრივ ... ...